საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/118

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2021 წ.

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№3, 20.10.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მემბრანული სინთეზის მიმართულებით მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსანტ **რაულ გოცირიძის შერჩევის თაობაზე და გაფორმდეს მასთან** შრომითი ხელშეკრულება (**2021 წლის 01 ნოემბრიდან 5 წლით** - 2026 წლის 01 ნოემბრამდე მოქმედების ვადით).

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).

3. საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) უზრუნველყოს კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საინფორმაციო ტექნოლოგიების

სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და კონკურსში გამარჯვებულ პირს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**